



ქართული ენა და ლიტერატურა - X კლასი

(30 ქულა)

დავალება I (10 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ ვაჟა-ფშაველას ლექსი „გიგი“ და შეასრულეთ დავალებები:

ბრალია გიგის სიკვდილი,
ფშაველნ ნუმც გაიგონებენ;
შაიყრებიან ციხე-გორს,
ლაშქრობას მაიგონებენ.
გულზე ეკალი დაესხმისთ,
მტერს ვეღარ დაიმონებენ.
- გიგი სადა გყავთ, ფშაველბო,
ან იმის ცხენი ტიალი?
- გიგის თოფ დაჰკრეს ქისტებმა,
სისხლმა დაიწყო წკრიალი.
ადარ აცალეს რჯულმაღთა,
ფრანგულს გაეღო კრიალი.
გვენახა არწივის მოსვლა,
წეროთ დაქსაქსვა, გრიალი.
დაგენატრებათ, ფშაველნო,
გიგის ფრანგულის ტრიალი.
ახადს გავსთხარეთ სამარე
შავგვრემანის ბიჭისა,
ცოლს გავუგზავნეთ იმისას
ლურჯი პერანგი გიგისა.
გიგის ლურჯი ბაგას ჰბავ,
თვალით ცრემლები მისდისა,
ტოტს უცემს მხარკვერიანი,
ზურგი დაღარა მიწისა.
- ხმალი რას შვრება გიგისი,
ფრანგული გველისპირისა?
- სამჯერ იღვრება დღეშია,
უგიგიობას სტირისა.
- ცოლი რას ამბობს გიგისი,



ქალი ლუხუმათ ბერისა?
- ქმარს ეძებს მოშინაურეს,
არმიმდევარსა მტერისა.
- დედამ რაღა სთქვა ჯავარამ
შვილის სიკვდილის თქმაზედა?
- გონთით გადვარდა ბეჩავი,
ხელი იტაცა თმაზედა,
შუა გახია მანდილი,
ხორცი იგლიჯა ტანზედა.
ვეღარ გაუძლო ვარამსა,
დანას დაეჭრა ფხაზედა.
- მამამ რაღა სთქვა თინიბექმ,
ამბავ რო უთხრეს შვილისა?
- გულ ჩაიმჯილა, ჩაფიქრდა,
ალი აჰვარდა პირისა:
"რად არ აცალეს რჯულმადღათა
ვეფხვს ერთხელ გასმა კბილისა?
მოკლან, თუ მოკლეს, რაღა ვქნა,
წეს ეგ არიო გმირისა!"
- შვილმა რაღა სთქვა მახარემ,
ვაჟკაც წვერშამამავალმა?
- ზავთი დაიდვა, როგორაც
ღრუბელმ ცას გადმამავალმა;
სამტროდა ჰლესავს ფრანგულსა,
სისხლი აიღოს მამისა,
შაღებოს ქისტის სისხლითა
ქერა უღვაში ბრძამისა.
- რვალი სადღაა გიგისი,
სამკლავე, საფუხარია?
- ომში ურვალოდ ჩავიდის,
მეხად ცით ნაქუხარია.

1 (5 ქულა). იმსჯელეთ მთავარი გმირის მხატვრულ სახეზე.



დავალება II

(10 ქულა)

(4 ქ.) ჩასვით შესაფერისი სიტყვა:

1. გურამი მოქმედებდა თავისი მიზნის შესრულებისათვის.

ა) აქტიურად; ბ) აქტუალურად.

2. ერთ დროს ცოტნე ყმაწვილი გახლდათ.

ა) თავზეხელაღებული; ბ) თავზე ხელ ადებული; გ) თავზე ხელაღებული

3. სკოლის ეზოში მოეყარათ თავი.

ა) ვიღაცეებს; ბ) ვიღაც-ვიღაცებს; გ) ვიღაც-ვიღაცეებს;

4. წელი შესრულდა იმ ამბის შემდეგ.

ა) 27-ე; ბ) XXVII-ე; გ) ოცდამეშვიდე

(6 ქ.) წაიკითხეთ მოცემული წინადადებები და იპოვეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, პუნქტუაციური და სტილისტური ხარვეზები.

1. (2) ქვეყანის ერთგულ ადამიანს ხალხის სამსახური მისი ვალდებულება ჰგონია.
2. (2) გ. მთაწმინდელი ბიზანტიელებმა ყველაზე უჭკვიანეს ქართველად მიიჩნიეს.
3. (2) ბიჭუნამ თავისი მშობლებიდან საინტერესო ამბავები გაიგო.



დავალება III

(10 ქ.) არგუმენტირებული ესე

საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ აუცილებელია, ყველა ადამიანს უმაღლესი განათლება ჰქონდეს.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას, ან უარყავით

გაანალიზეთ არჩეული თვალსაზრისი, შეაფასეთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა გაამყარეთ არგუმენტებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული. დაიცავით ენობრივი ნორმები.

ნაშრომი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.
